

მომხმარებლის სახელმძღვანელო

Daisy compact M

- შეცდომით ამობეჭდილი, ან დაბრუნებული თანხის ქვითრის გაუქმება

როდესაც სალარო აპარატზე ქვითარი არასწორად ამოიბეჭდა, ან მომხმარებელს თანხა დაუბრუნდა და ქვითრის გაუქმება საჭირო, rs.ge-ის პორტალზე ივსება სპეციალური განაცხადი, რომელსაც თან ერთვის გასაუქმებელი ქვითარი, ან ქვითრის ასლი. განაცხადზე ხელს აწერს მოლარე-ოპერატორი და მასზე პასუხისმგებელი პირი (მენეჯერი).

- დროის და თარიღის გასწორება

დროის ან/და თარიღის გასწორების ოპერაციამდე საჭიროა Z ანგარიშის ამოღება. რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს "M", სანამ ეკრანზე არ დაეწერება „პროგრამირება“, შემდეგ აკრიფეთ პაროლი 9999 და დაადასტურეთ ღილაკით „CLK“ ეკრანზე გამოჩნდება წარწერა „PROGR...“. დააჭირეთ ჯერ „ALT“ და შემდეგ „QTY“ ღილაკებს ერთდროულად, ეკრანზე გამოისახება თარიღი და საათი. შეიყვანეთ თარიღი მაგ. 01012021 (მსგავსი ფორმატით, წერტილების გარეშე) და დრო მაგ.0946 (მსგავსი ფორმატით, წერტილების გარეშე) და დაადასტურეთ ღილაკით „TL“. გამოსასვლელად დააჭირეთ ღილაკს „TL“

- სალარო აპარატის ჩართვა

სალარო აპარატის ჩასართავად, კლავიატურის მარცხენა ზედა კუთხეში რამდენიმე წამის განმავლობაში დააჭირეთ ჩართვის ღილაკს.

- სალარო აპარატის სამუშაო რეჟიმში შესვლა

სამუშაო რეჟიმში შესასვლელად რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს „M“ სანამ არ გამოჩნდება წარწერა [გაყიდვა....], შემდეგ აკრიფეთ მოლარის შესაბამისი პაროლი [1] და დააჭირეთ ღილაკს „CLK“ ეკრანზე დაეწერება [0,00].

ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ სასურველი თანხის ოდენობა და დააჭირეთ სექციის ღილაკს (მაგ. [01]). მომხმარებლის ქვითრის ბეჭდვის დასასრულებლად დამატებით დააჭირეთ ღილაკს „TL“

მაგალითი:

7 ლარი და 25 თეთრის ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ:

[7][.][2][5] ----- თანხა

[01] ----- სექციის ღილაკი

[TL] ----- ამობეჭდვა

თუ ქვითარში რამდენიმე თანხის ჩაწერა გასურთ, შეიყვანეთ თანხა, მიუთითეთ შესაბამისი სექცია [01], შემდეგ აკრიფეთ სხვა პროდუქტის თანხა, კვლავ სექციის ღილაკი [01] და ა.შ. საბოლოო ქვითრის ამოსაბეჭდად დააჭირეთ ღილაკს „TL“

- **არასწორად შეყვანილი თანხის კორექტირება ან/და ქვითრის ანუღირება**

არასწორად შეყვანილი თანხის წასაშლელად დააჭირეთ ღილაკს „C“

თუ თანხა არასწორად შეიყვანეთ და სექციაც მიუთითეთ, მაგრამ ქვითარი ჯერ არ დაგიბეჭდავთ, დააჭირეთ ღილაკს „VD“ და თანხა ანუღირდება. გაუქმებულ თანხაზე ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ ღილაკი „TL“.

- **Z ანგარიშის ამობეჭდვა**

*ყოველი სამუშაო დღის ბოლოს სავალდებულოა ცვლის დახურვა (Z ანგარიშის ამოღება).

Z ანგარიშის ამოსაბეჭდად რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს „M“ , სანამ ეკრანზე არ დაეწერება [Z ანგარიში.....] , შემდეგ აკრიფეთ 9999, დააჭირეთ ღილაკს “CLK” და ბოლოს ღილაკს “TL”.

- **გათიშული სალარო აპარატის გააქტიურება**

სალარო აპარატის გასააქტიურებლად რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს „M“, სანამ არ გამოჩნდება წარწერა „პროგრამირება....“. შეიყვანეთ პაროლი „9999“ და დაადასტურეთ „CLK“ ღილაკით. ეკრანზე დაეწერება „PROGR“, შემდეგ აკრიფეთ 1853 და დააჭირეთ ღილაკს „VD“. დაელოდეთ, თუ აქტივაცია წარმატებით დასრულდა, ეკრანზე დაეწერება "SUCCESSFUL". ამის შემდეგ შეგიძლიათ განაგრძოთ მუშაობა.

* თუ დაწერა "COMMUN.ERR.GRA" ან/და "SEND.GRA.SERVER" დააჭირეთ "C" ღილაკს და განმეორებით სცადეთ გადატვირთვა.

- **შენიშვნა**

იმ შემთხვევაში თუ სალარო აპარატის ეკრანზე დაეწერა:

„ქაღალდი გათავდა“ - ნიშნავს, რომ სალარო აპარატში თერმული ქაღალდი დამთავრდა, ან ქაღალდის ხუფი აფარია არასწორად

„შესრულდა 24 საათი“ - ამობეჭდეთ Z ანგარიში

“არასწორი ღილაკი” - დააჭირეთ „C“ და შემდეგ „TL“ ღილაკს